



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080177678068819

№ 2018

23 / აპრილი / 2019 წ.

**შპს „გლობალ თრეიდ გრუპის“ გაფრთხილების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“;

**ტენდერის ნომერი:** SPA180007644;

**შესყიდვის ობიექტი:** 24300000 – ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები;

**მიმწოდებელი:** შპს „გლობალ თრეიდ გრუპ“ (ს/ნ: 404543552);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 14 და 27 მარტს წარმოდგენილ იქნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2019 წლის 11 მარტის № 5001491819 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2858) და 2019 წლის 26 მარტის № 5001888419 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3358), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გლობალ თრეიდ გრუპის“ (ს/ნ: 404543552) მიერ SPA180007644 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 11 ოქტომბრის № 252 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „გლობალ თრეიდ გრუპს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე georgiaglobaltrade@gmail.com, 2019 წლის 29 მარტის № 1285 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. შპს „გლობალ თრეიდ გრუპმა“ 2019 წლის 4 აპრილს წარმოადგინა 2019 წლის 4 აპრილის განმარტება (რეგისტრაციის № 3745) SPA180007644 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 11 ოქტომბრის № 252 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს ორჯერ გაუგრძელდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებს ვადა, შეთანხმებული საქონელი მას სრულად არ მოუწოდებია.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

2.1. მიმწოდებლის განმარტების თანახმად, საქონლის მწარმოებელი კომპანიის – Sigma Aldrich ოფიციალურმა წარმომადგენელმა – შპს „ოლ-საიდმა“ მიმწოდებელს შეატყობინა, რომ მოთხოვნილი პროდუქტი (მოდელი 48858U) გარკვეული სამართლებრივი მოთხოვნების საფუძველზე არ იყიდებოდა საქართველოზე, შესაბამისად პროდუქციის მიწოდება ვერ ხორციელდებოდა. ამდენად, მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 31 მარტი. შექმნილი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ მოთხოვნილი პროდუქტის ოდენობა იყო მცირე, რის გამოც, მის დამზადებაზე მწარმოებელი თავდაპირველად თავს იკავებდა. 2019 წლის 8 თებერვალს, კომპანია „სიგმას“ ოფიციალურმა დისტრიბუტორმა კომპანიამ – „VIKING IMPORT AND EXPORT inc“ წერილობით შეატყობინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, რომ მხარეთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება 1მლ რეაგენტის დამატებით დამზადების შესახებ, რაც დასრულდებოდა 2019 წლის 20 თებერვალს, ხოლო საქართველოში მისი ტრანსპორტირება განხორციელდებოდა თებერვლის ბოლოს.

2.2. ამასთან, ვინაიდან მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ შეძლო დათქმულ დროში რეაგენტის დამზადება, მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, 2019 წლის 28 თებერვალს მიმწოდებელმა წერილობით შეატყობინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ არსებული ვითარების შესახებ და მოითხოვა პროდუქტის მიწოდების ვადის გაგრძელება 2019 წლის მარტის ბოლომდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით, თუმცა უშედეგოდ.

#### **4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2018 წლის 21 სექტემბერს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ გამოაცხადა SPA180007644 ელექტრონული ტენდერი ძირითადი ორგანული ქიმიკატების (CPV24320000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 5 ოქტომბრის № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გლობალ თრეიდ გრუპ“ (ს/ნ: 404543552) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 11 ოქტომბერს გაფორმდა № 252 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ამავე ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული საქონელი 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 2 653,82 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 27 მარტის შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 31 მარტი.

4.5. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 6 თებერვლის წერილით ეცნობა, რომ დარჩენილი საქონლის ნაწილი შპს „გლობალ თრეიდ გრუპს“ მიეწოდებინა 2019 წლის 11 თებერვლის ჩათვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ცალმხრივად შეწყვეტდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედებას.

4.6. შემსყიდველ ორგანიზაციას Viking Import and Export Inc.-ის მიერ 2019 წლის 8 თებერვლის წერილით ეცნობა, რომ იგი იყო საქონლის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური დისტრიბუტორი. ამასთან, ვინაიდან 2018 წლის დეკემბრის ბოლოს არ იყო შესაბამისი მარაგი საწყობში და საჭირო იყო 1მლ რეაქტივის სპეციალურად დამზადება, მწარმოებელს არ შეეძლო იმ პერიოდისთვის პროდუქციის დამზადება, თუმცა მიღწეულ იქნა შეთანხმება საქონლის დამზადების თაობაზე. შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ საქონელი დამზადდებოდა 2019 წლის 20 თებერვლისთვის და მიმწოდებელი მის მიწოდებას შეძლებდა 2019 წლის თებერვლის ბოლოს.

4.7. შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2019 წლის 11 თებერვლის № 6 წერილით ეცნობა, რომ ვინაიდან დარჩენილი პროდუქციის რაოდენობა იყო მცირე და საწყობში არ არსებობა მარაგი, საქონლის მწარმოებელთან მისმა წარმომადგენელმა მიაღწია პროდუქციის დამზადებასა და საქართველოში მიწოდების თაობაზე შეთანხმებას. ამავე წერილით მიმწოდებელმა ითხოვა, რომ მისცემოდა საქონლის თებერვლის ბოლომდე მიწოდების შესაძლებლობა. შპს „გლობალ თრეიდ გრუპს“ შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 18 თებერვლის წერილით ეცნობა, რომ 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიეწოდებინა შეთანხმებული საქონელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ცალმხრივად შეწყვეტდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედებას.

4.8. შემსყიდველ ორგანიზაციას Viking Import and Export Inc.-ის მიერ 2019 წლის 26 თებერვლის წერილით ეცნობა, რომ მწარმოებელი საქონელს დაამზადებდა 2019 წლის 11 მარტისთვის, ხოლო მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას შეძლებდა 2019 წლის მარტის ბოლოსთვის. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა 2019 წლის 28 თებერვლის №8 წერილით და ითხოვა არ შეეწყვიტა ხელშეკრულების მოქმედება მარტისთვის ბოლომდე.

4.9. საქმეში არსებული მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 26 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ მიწოდებულ იქნა 2 246.72 ლარის ღირებულების საქონელი, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 85%-ს შეადგენს.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გლობალ თრეიდ გრუპს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო აღგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე. ხაზგასასმელია, რომ მიმწოდებელს არ განუმარტავს, თუ რა სამართლებრივი პრობლემა უშლიდა ხელს კომპანიას, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებინა კონკრეტული დასახელების საქონელი. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ მიმწოდებელმა სატენდერო წინადადებით თავად შესთავაზა შემსყიდველ ორგანიზაციას კონკრეტული მწარმოებლის პროდუქციის მიწოდება, მაშინ, როდესაც მას შეთავაზების გაკეთებამდე შესაძლებლობა ჰქონდა, მოეკვლია არსებული ვითარება და შეეფასებინა, შეძლებდა თუ არა ხელშეკრულების შესრულებას და მის მიერ მითითებული საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში. ამდენად, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის პოზიციას და მოცემული მსჯელობისა და ფაქტების ურთიერთშეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიწოდებულ იქნა 2 246.72 ლარის ღირებულების საქონელი, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 85%-ს შეადგენს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „გლობალ თრეიდ გრუპს“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

## სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გლობალ თრეიდ გრუპს“ (ს/ნ: 404543552) 2019 წლის 24 აპრილს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე